

ტოპონიმები გოდერძი ჩოხელის რომანში „ადამიანთა სევდა“

წიგნაძე შორენა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტიDOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.26>

აბსტრაქტი. ტოპონიმები ბგერათა უაზრო შენაერთს როდი წარმოადგენს, მათში არეკლილია ჩვენი ქვეყნის წარსული ყოფა-ცხოვრება. ამიტომაცაა, რომ ტოპონიმების კვლევა ქვეყნის ისტორიის შესწავლის ტოლფასადაა მიჩნეული.

ქართული ტოპონიმების პირველი მეცნიერული შესწავლა უკავშირდება გამოჩენილ ქართველ სწავლულსა და ისტორიკოსს, გეოგრაფ ვახუშტი ბატონიშვილს. თუმცა, ტოპონიმების შესახებ ცნობები შემონახულია V-XI და XII-XVIII საუკუნეების ისტორიულ წყაროებში. ადგილობრივ ტოპონიმთა შესახებ საკმაოდ მნიშვნელოვანი ცნობები დაცულია „ქართლის ცხოვრებაში“.

ტოპონიმების შესწავლა საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა გოდერძი ჩოხელის რომანში „ადამიანთა სევდა“. აქ მათი რიცხვი ოცდათზე მეტია. მათი ლინგვისტური ანალიზი შესაძლებელია რამდენიმე ასპექტით, კერძოდ: მორფოლოგიური, სემანტიკურ-ეტიმოლოგიური და ისტორიულ-დიალექტოლოგიური.

რომანში არსებული ტოპონიმები დავაჯგუფეთ სტრუქტურა-წარმოების მიხედვით, რის შედეგადაც მივიღეთ შემდეგი სურათი:

1. ტოპონიმთა ნაწილი მიიღება ძირეული საზოგადო სახელის რომელიმე ბრუნვის, ჩვეულებრივ, სახელობითი ბრუნვის ფორმით. ფუძეთა დაბოლოების მიხედვით ტოპონიმები ხმოვანფუძიანია ან თანხმოვანფუძიანი.

• **ხმოვანფუძიანებია:** დიხჩო, დაუმაცხო, ლიდა, მაქართა, ხოზა.

• **თანხმოვანფუძიანებია:** გუდამაყარი, ჩოხი, კიტოხი, ათნოხი, გამსი.

2. ტოპონიმები, რომლებიც წარმოქმნილია სიტყვათსაწარმოებელი აფიქსებით. გეოგრაფიულ სახელებთან რომანში გამოყენებულია რიგი მაწამოებლებისა: -ურ, -ელ, -იან, სა-ე, სა-ო.

სა-ე, სა-ო - კონფიქსები დანიშნულებას გამოხატავენ. მათგან ნაწარმოებ ტოპონიმებშიც თავდაპირველად ამავე ფუნქციითაა ნახმარი - **საქორე, საყორნე, სალალო** - მიანიშნებდნენ ადგილს სადაც მრავლად ბინადრობდა ისეთი ფრინველი, როგორიცაა ქორი, ყორანი; ხოლო სალალო, უნდა მიანიშნედაც ადგილს, რომელიც გართობას, ლაღობას უკავშირდება.

-ურ - წარმომავლობის სახელთა მაწარმოებელი სუფიქსით მიღებული ტოპონიმები: **ცუცქუნაური, ჩოხოლაური**. გვხვდება გეოგრაფიული სახელები, რომელთაც **-ურ** მაწარმოებელთან ერთად დაერთვის **ნ**, რომელიც ძირითადად არსებით სახელებს (გვარებს) ერთვის და მრავლობითობას გამოხატავს.

-იან - ქონების ზედსართავ სახელთა მაწარმოებლიანი ტოპონიმები, რომლებიც მიღებულია ადამიანთა გვარ-სახელებისაგან.

3. დასტურდება ტოპონიმები, რომლებიც მიიღება სიტყვათშეერთების გზით: გუდამაყარი, წინამხარი. დასახელებულ კომპოზიტებში ორივე სიტყვა არსებითი სახელია ან ზედსართავი სახელი და არსებითი.

4. ტოპონიმები გადმოცემულია მსაზღვრელ-საზღვრულის ფორმით: საჩალის ჭალა, ნარიანის მთა, ოზანას მთა, ბერების მთა, ელიას მთა, ადგილის დედა. გამოყენებულია სუბსტანტიურ

მსაზღვრელიანი ფორმა, რომელიც ნათესაობითში მდომი არსებითი სახელით არის წარმოდგენილი და კუთვნილებას გამოხატავს.

გამოიყოფა ისეთი ფენა გეოგრაფიული სახელებისა, რომელთა წარმოშობაც არქაულ პერიოდს უკავშირდება. სწორედ ამ ფაქტორის შედეგია ის, რომ ბევრი მათგანის ეტიმოლოგიის დადგენა შეუძლებელია. აღნიშნულის ნათელსაყოფად განვიხილოთ გოდერძი ჩოხელის რომანში არსებული რამდენიმე ტოპონიმი: გუდამაყარი, დაუმაცხო და ბოსელი.

გოდერძი ჩოხელის რომანში არსებული ტოპონიმების ანალიზმა მოგვცა შესაძლებლობა გამოგვეყო ის თავისებურებები, რომელიც თითოეული მათგანის მორფოლოგიურ, დიალექტოლოგიურ თუ ეტიმოლოგიურ-ისტორიულ განსხვავებულობას წარმოაჩენს.

საკვანძო სიტყვები: გოდერძი ჩოხელი, ტოპონიმები, ეტიმოლოგია, სემანტიკა, მორფოლოგია.

ტოპონიმები, ონომასტიკონის შემადგენელი ნაწილია, რომლის კვლევის ობიექტს გეოგრაფიულ ადგილთა შესწავლა წარმოადგენს. მათი ლინგვისტური ანალიზის დროს ყურადღება შეიძლება გავამახვილოთ რამდენიმე ასპექტით, კერძოდ: მორფოლოგიური, სემანტიკური და ისტორიულ-დიალექტოლოგიური.

აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიული ადგილების უმეტესობას ძველად, დიდი ხნის წინ, სახელი არ ჰქონდა. შემდეგ, იმ ტერიტორიებს, რომელთაც გარკვეული დატვირთვა, მნიშვნელობა შეიძინეს, საკუთარ სახელებს არქმევდნენ. მნიშვნელოვან ობიექტად მიიჩნეოდა ის ადგილები, რომლებიც განკუთვნილი იყო თევზაობის, ნადირობის, მესაქონლეობისა თუ მიწათმოქმედებისათვის. ადამიანებმა, სტრატეგიული ობიექტების ერთმანეთისაგან განსასხვავებლად დაიწყეს სიდიდის, ფერის, სისწრაფისა თუ მრავალი დამახასიათებელი ნიშნის გამოყენება, რომელსაც შემდეგ მოჰყვა სახელწოდებების შექმნა/დარქმევა. ბუნებრივია, სახელს არქმევდა ხალხი, რომელთა მიერ შერქმეული ტოპონიმები ბევრათა უაზრო შენაერთს როდი წარმოადგენდა, მათში არეკლილია ჩვენი წარსული ყოფა-ცხოვრება. ამიტომაცაა, რომ ტოპონიმების კვლევა ქვეყნის ისტორიის შესწავლის ტოლფასადაა მიჩნეული.

ადრეულ ხანაში ტოპონიმები მცირე რაოდენობით არსებობდა, მათი რიცხვის მატება მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოების ზრდა-განვითარებას. ისტორიული ქარიშხლებისა თუ მიგრაციის შედეგია ის, რომ არ არსებობს ენა, რომელიც თავისთავში არ შეიცავდეს სხვადასხვა დროინდელ ტოპონიმებსა თუ ენობრივ დანაშრევებს. დასახელებული ისტორიული მოვლენები წარმოადგენს საფუძველს იმისას, რომ ტოპონიმებში არსებული ფუძე ერთი ენის ან კუთხის კუთვნილებაა, ხოლო სადერივაიციო აფიქსები - მეორის. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ რთულია, და თითქმის შეუძლებელი, გავარკვიოთ ყველა ტოპონიმის წარმომავლობა, მათი სემანტიკა.

ქართული ტოპონიმების პირველი მეცნიერული შესწავლა გამოჩენილ ქართველ სწავლულსა და ისტორიკოსს, გეოგრაფ ვახუშტი ბატონიშვილს უკავშირდება. მის წიგნში, „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“, მოცემულია საქართველოს გეოგრაფიული ნომერკლატურისა და სისტემატიზაციის მეცნიერული კვლევის ცდები. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტოპონიმების შესახებ ცნობებს საკმაოდ შორეულ წარსულში ვხვდებით, მათ არსებობის დიდი ხნის ისტორია აქვთ. ცნობები შემონახულია V-XI და XII-XVIII საუკუნეების ისტორიულ წყაროებში. ადგილობრივ ტოპონიმთა შესახებ საკმაოდ საინტერესო ცნობები დაცულია „ქართლის ცხოვრებაში“. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ინფორმაცია შემოუნახავს სიგელ-გუჯრებსა და ისტორიულ-ეპიგრაფიკულ ძეგლებს. შემდეგში, ტოპონიმების ძირეული საკითხების კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს ე. თაყაიშვილმა, ივ. ჯავახიშვილმა და სხვ.

საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა ტოპონიმები გოდერძი ჩოხელის რომანში „ადამიანთა სევდა“. აქ მათი რიცხვი ოცდათზე მეტია: **ჩობოლაური, ლიდა, ხოზა, ცუცქუნაური, კოტორიანი, ნისლაური, ლაგაზიანი, თორელაანი, ფახვიჯი, საჩალის ჭალა, ქიჭოხი, დიხჩო, ლუთხუბი, ბახანი, წინამხარი, მაქართა, კიტოხი, დიდებანი, გამსი, ჭალიველნი, ათნოხი, ბოსელი, დაუმაცხო, საქორე, ქაქენი, ბუსარჭილი, სალალო, ნარიანაის მთა, ოზანოს მთა, ბერების მთა, ელიას მთა, საყორნის ტყე**. შეიძლება ითქვას, რომ დასახელებული ნაწარმოები საკმაოდ მდიდარია ტოპონიმებით. რომანში არსებული გეოგრაფიული სახელები დავაჯგუფეთ სტრუქტურა-წარმოების მიხედვით, რის შედეგადაც მივიღეთ შემდეგი სურათი:

1. ტოპონიმთა ნაწილი მიიღება ძირეული საზოგადო სახელის რომელიმე ბრუნვის, ჩვეულებრივ, სახელობითი ბრუნვის ფორმით. ფუძეთა დაბოლოების მიხედვით ტოპონიმები ხმოვანფუძიანია ან თანხმოვანფუძიანი.

● **ხმოვანფუძიანებია:** დიხჩო, დაუმაცხო, ლიდა, მაქართა, ხოზა.

... კვირის თავზე ახალი სადარდებელი გაუხდათ, - **დაუმაცხოში** ხუთი ქისტის მამკლავი გიგილაი გარდაიცვალა.

მზის ჩასვლისას **მაქართას** მივადექით...

ლიდა ჩობოლაურის აღმოსავლეთით ერთი კილომეტრის დაშორებით არის.

... სულ რაღაც ხუთ წუთში ჩვენი დროშა აფრიალდა **ხოზის** მაღალ ბანზე.

● **თანხმოვანფუძიანებია:** გუდამაყარი, ჩოხი, კიტოხი, ათნოხი, გამსი.

...ზამთრობით კაცები ცხვარში მიდიან, ახალგაზრდები -ქალაქში და **გუდამაყარი** ქალებსა და ბავშვებსღა რჩებათ.

გუდამაურის ხეობაში პირველად ჩოხლები დასახლდნენ და თავიანთ სოფელს **ჩოხი** დაარქვეს.

იმავე ღამეს გალილეი აფრინეს **კიტოხში** და გუდამაყრის საერთო ექიმი მოაყვანინეს.

ათნოხში თორმეტი ქისტის მამკლავი, აკაი თამნიაური კვდებოდა.

ამ სახლში ათიოდე წლის წინათ მშობლებმა **გამსილველ** ბათირაზე დანიშნეს სალომე.

2. ტოპონიმები, რომლებიც წარმოქმნილია სიტყვათსაწარმოებელი აფიქსებით. გეოგრაფიულ სახელებთან „ადამიანთა სევდაში“ გამოყენებულია რიგი მაწამოებლებისა: -ურ, -ელ, -იან, სა-ე, სა-ო.

სა-ე, სა-ო - კონფიქსები დანიშნულებას გამოხატავენ. მათგან ნაწარმოებ ტოპონიმებშიც თავდაპირველად ამავე ფუნქციითაა ნახმარი - **საქორე, საყორნე, სალალო** - მიანიშნებდნენ ადგილს სადაც მრავლად ბინადრობდა ისეთი ფრინველი, როგორიცაა ქორი, ყორანი; ხოლო **სალალო**, უნდა მიანიშნედეს ადგილს, რომელიც გართობას, ლაღობას უკავშირდება. დავიპყართ ლაღენი, **საქორე** და გეზი ბუსარჭილისაკენ ავიღეთ. **საყორნის** მთებიდან მზე ამოდიოდა. იმ დღეს თორმეტი კაცი გაგიჟდა **სალალოს**.

-**ურ** - წარმომავლობის სახელთა მაწარმოებელი სუფიქსით მიღებული ტოპონიმები - **ცუცქუნაური, ჩობოლაური**. სოფლის სახელები, რომლებთანაც -ურ სუფიქსთან ერთად გვხვდება **ნ**, რომელიც ძირითადად არსებით სახელებს (გვარებს) ერთვის და მრავლობითობას გამოხატავს, თუმცა, ტოპონიმებში მრავლობითობის გამოხატვა დაკარგული აქვს.

-**იან** - ქონების ზედსართავ სახელთა მაწარმოებლიანი ტოპონიმები, რომლებიც მიღებულია ადამიანთა გვარ-სახელებისაგან. ამ ტრადიციას ხანგრძლივი ისტორია

აქვს და დღესაც ვხვდებით მათ არსებობას: „მზის ჩასვლამდე როგორმე უნდა მოვასწოროთ კოტორიანთ ალბა“. გოდერძი ჩოხელთან დასტურდება -იან სუფიქსით წარმოქმნილი ტოპონიმები. აკადემიკოს აკ. შანიძის თანახმად, -იან მრავალ გვარში გვხვდება მაწარმოებლად (შანიძე აკ. 1963). გუდამაყრულ ტოპონიმებში კი გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელია: კოტორიანი, ლაგაზიანი. -იან სუფიქსი გვარის მაწარმოებლად გვხვდება სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. ძველად აღმოსავლეთ საქართველოშიც იყო გვარცელელებული მსგავსი დაბოლოების გვარები, რომელიც შემდეგ შეიცვალა ძე და შვილით. ამის გამო, -იან დაბოლოებას დაუკარგავს პირვანდელი მნიშვნელობა, გარკვეულ შემთვევაში, შემონახულა ჩამომავლობა-კუთვნილების აღსანიშნად, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ფორმა მრავლობითია. მსგავს შემთვევაში, შემდეგ დროინდელი შვილი ჩამომორდება ხოლმე გვარს და აღდება ძველი -იან, მაგ. ციციშვილი - ციციანები, სადაც ორი ნ-საგან მხოლოდ ერთი ისმის. აქ ფორმა გამარტივებულია, ორი ნ-საგან ერთია დარჩენილი და მრავლობითის გაგება დაკარგულია. ანალოგიური სურათია შემდეგ ტოპონიმებში: **თორელიანი, ლაგაზიანი**. აქვე აღვნიშნავთ, რომ იან-ის დართვა შვილზე და ძე-ზე არ ნიშნავს, რომ ამ გვარებს უეჭველად -იან დაბოლოება ჰქონდა. სავარაუდოდ, აქ ანალოგიურ წარმოებასთან გვაქვს საქმე. დასახელებული ფორმის სიტყვები დროთა განმავლობაში სოფლის სახელებად იქცა. ამგვარ ტოპონიმებს ხშირად ფუძედ აქვთ საკუთარი თუ საზოგადო სახელი, ეროვნულ-ტომობრივი, საგვარეულო ან რომელიმე მფლობელის.

3. დასტურდება ტოპონიმები, რომლებიც მიიღება სიტყვათშეერთების გზით: **გუდამაყარი, წინამხარი**. დასახელებულ კომპოზიტებში ორივე სიტყვა არსებითი სახელია ან ზედსართავი სახელი და არსებითი. მაგ.: ... დედამიწის ზურგზე არსებობს ხეობა, რომელსაც **გუდამაყარი** ჰქვია.

4. ტოპონიმები გადმოცემულია მსაზღვრელ-საზღვრულის ფორმით: საჩალის ჭალა, ნარიანაის მთა, ოზანას მთა, ბერების მთა, ელიას მთა, ადგილის დედა. გამოყენებულია სუბსტანტიურ მსაზღვრელიანი ფორმა, რომელიც ნათესაობითში მდომი არსებითი სახელით არის წარმოდგენილი და კუთვნილებას გამოხატავს. მაგ.: „აი, ზემოთ **ნარიანაის მთაზე** რო ტბა არის...” „ჩოხის ზემოთ, მთის წვერზე, ბერების ნასაყდრალეებია და ამ მთას **ბერების მთას** ეძახიან”. „შებრუნდა და „ადგილის დედისაკენ” აუყვა აღმართს”. „გუდამაყარში, სოფელ ჩოხის აღმოსავლეთი, დგს მთა, რომელსაც აქაურები ელიას მთას ეძახიან”.

ხშირად ტოპონიმებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, განსაკუთრებით, თუ მათ ზეპირსიტყვიერი ტრადიცია ინახავს ან უცხოურ წყაროებში დასტურდება. თუმცა, იშვიათია, რომ ჩვენამდე უცვლელი სახით იყოს მოღწეული. ისტორიას მრავლად ახსოვს ძველ ტოპონიმთა, ტრადიციულ სახელთა ცვლის შემთხვევები. სხვა მრავალ ფაქტორთა შორის, სწორედ ისტორიული პროცესები წარმოადგენს მიზეზს ძველი და ახალი ტოპონიმების არსებობისას. როგორც ცნობილია, ტოპონიმების წარმოშობა საკმაოდ უსწრებს დამწერლობის წარმოშობას. დამწერლობამდე არსებობდა როგორც მაკრო და მიკრო, ასევე საკუთრივი ტოპონიმები. ისტორიულ წყაროებში, ძირითადად, შემონახულია ცნობები მაკრო და საკუთრივტოპონიმებზე, ხოლო, რაც შეეხება მიკრო ტოპონიმებს, ისინი უფრო ხალხთა მეხსიერებამ შემოგვინახა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოპონიმებში გამოიყოფა ისეთი ფენა სახელებისა, რომელთა წარმოშობაც არქაულ პერიოდს უკავშირდება. სწორედ ამ ფაქტორის შედეგია ის, რომ ბევრი მათგანის ეტიმოლოგიის დადგენა შეუძლებელია. ცნობილია, რომ გახშირებული ომებისა და შიშიანობის დროს, ადგილი ჰქონდა სამოსახლოს შეცვლას. გადაადგილების დროს ახალ ტერიტორიაზე დამკვიდრებული მოსახლეობა

ცვლიდა უკვე არსებულ ტოპონიმებს, არქმევდა ახალ სახელს ან ძველს ურთავდა სხვადასხვა მაწარმოებელს და ასე ჩნდებოდა ახალი ერთეულები. უნდა ითქვას, რომ გოდერძი ჩოხელის „ადამიანთა სევდაში“ არსებულ ტოპონიმებშიც გვხვდება ისეთი ერთეულები, რომელთა ეტიმოლოგიაც სადავოა, რასაც იწვევს მათი წარმოდგენა სხვადასხვა სემანტიკით. აღნიშნულის ნათელსაყოფად განვიხილოთ გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში არსებული რამდენიმე ტოპონიმი.

გუდამაყარი ქართულ საისტორიო-ეკონომიკურ ძეგლებში XI საუკუნიდან დასტურდება, როდესაც ლეონტი მროველი მთის მოსახლეობის გაქრისტიანების ამბებს აღწერს. ხალხში გავრცელებული თქმულების მიხედვით, სახელი უკავშირდება მექორწილე ვაჟის მაყრების მიერ ქალის მაყრების შინ ცარიელი გულებით გაშვებას. ეს თქმულება იმდენად ყოფილა გავრცელებული, რომ ზოგ სპეციალისტს სინამდვილედ მიუჩნევია. სხვა ახსნას გვთავაზობს მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონიმთა მკვლევარი გ. ხორნაული. მისი აზრით „ასახსნელად ჯერჯერობით არაფერი მასალა არ მოგვეპოვება... აქაც იგივე სიტყვა „გუდა“ უნდა გვეკონდეს, რაც გუდარეხში, გუდრუხსა და გუდანში გვაქვსო“ (ხორნაული გ. 2003). იგი არაფერს ამბობს მაყარ ფუძეზე. სხვაგვარად სხნის გუდამაყრის წარმოშობის ისტორიას რ. თოფჩიშვილი. იგი მიიჩნევს, რომ ტოპონიმი მიღებულია ორი სიტყვის შერწყმით გუდან-ნაყარი და უკავშირდება ხევსურთა ხეობაში გადმოსლის ფაქტს, კერძოდ, გუდანის განაყარ ხალხს, რომელიც მახლობლად დასახლდა. თოფჩიშვილის აზრით, გუდანნაყარი, გარკვეული დროის შემდეგ, გუდა და მაყარ სიტყვებად ჩამოყალიბდა. სწორედ გვარის განაყრობით წარმოშობილ ტოპონიმად მიაჩნია მკვლევარს გუდამაყარი, რომელიც ამ ისტორიული პროცესის ამსახველია (თოფჩიშვილი რ. 2005). საინტერესოა ტოპონიმ დაუმატხოს ეტიმოლოგიაც. აღსანიშნავია, რომ სახელი მოხსენიებული აქვთ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილებს, თუმცა მას ასახელებენ ქართლში და არა მთიულეთ-გუდამაყარში. სხვა მრავალ მკვლევართა მსგავსად, გ. ხორნაული დაუმატხოს მეგრული წარმოშობის ლინგვისტურ მოვლენად მიიჩნევს და მას უძველესი ღვთაების ჭანურ სახელს, ჯუმაჩხას, უკავშირებს. განსხვავებული ვერსია აქვს თოფჩიშვილს. იგი ტოპონიმს ქართულ ენაში არსებულ მაცხო-ვარ სიტყვას უკავშირებს. თავის შეხედულებას მკვლევარი შემდეგი მოსაზრებით ამტკიცებს: ბუსარჭილს ადგილობრივები „მაცხუბანს“ უწოდებენო. რ. თოფჩიშვილი მიიჩნევს, რომ დაუმატხოს (ქალების ხატი, ძუძუს ხატი, ფურების ხატი) ტერიტორიაზე ბევრი ხატობა დასტურდება (კვირიკე, მთავარანგელოზი და სხვ.), რომლებიც შემდეგ სოფლის სახელებად იქცა და, შესაძლოა, დაუმატხო ერთ-ერთი მსგავსი სალოცავი იყო, რომელიც მოგვიანებით სოფლის ტოპონიმად მოგვევლინაო.

გარკვეული ისტორია უკავშირდება ტოპონიმს ბოსელი. იგი ძველ საქართველოში ნაყოფიერებისა და გამრავლების წარმართულ ღვთაებასთან ასოცირდებოდა, რომლის ძირითად ფუნქციას საქონლის გამრავლება და მფარველობა წარმოადგენდა. მას ხარის სახიან ღვთაებად მიიჩნევდნენ, რომელიც დროთა განმავლობაში მიწათმოქმედებას დაუკავშირდა და ტოპონიმად ჩამოყალიბდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გოდერძი ჩოხელის რომანში, „ადამიანთა სევდა“, არსებული ტოპონიმების შესწავლა მრავალმხრივაა საინტერესო. ანალიზმა მოგვცა შესაძლებლობა გამოგვეყო ის თავისებურებები, რომელიც თითოეული მათგანის მორფოლოგიურ, დიალექტოლოგიურ თუ ეტიმოლოგიურ-ისტორიულ განსხვავებულობას წარმოაჩენს. როგორც აღვნიშნეთ, ტოპონიმები მრავალფეროვანია და ასევე მრავალფეროვანია მათი მიღების წყარო. იგი მიიღება როგორც საგნის სახელისაგან, დანიშნულების სახელისაგან, ასევე გვარისაგან,

სახელისაგან, ფერისაგან და ა.შ. მათი შესწავლა ნათელს მოფენს ბევრ ისეთ ფაქტსა თუ მოვლენას, რომელიც ხელს შეუწყობს ენაში არსებული იმ ლექსიკური ერთეულების გამომზეურებას, რომელთა ზუსტი ეტიმოლოგია დაუდგენელია, თუმცა მათი არსებობა გვაძლევს საშუალებას ვიკვლიოთ მათში შემონახული ინფორმაცია.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი. (1941). აღწერა სამეფოსა საქართველოსა; გამომცემლობა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, PDF.
2. თოფჩიშვილი, რ., (2005), ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, თბილისი, PDF ვერსია (მოძიებულია 14. 05, 2023წ.).
3. მაისურაძე, ი. (1979), ქართული გვარ-სახელები, სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. ქართლის ცხოვრება (1973), ბატონიშვილი ვახუშტი აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტ.IV. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“.
5. შანიძე კ., (1973) ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
6. ხორნაული. გ., (2003), ქართული ონომასტიკონი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

საანალიზო წყარო:

1. ჩოხელი. გ., (2022) პროზა, პოეზია, წერილები; თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“.

Abstract

Since when have toponyms been a simple bind of letters? They reflect the old country's past life. that's why, its research is considered as the study of history.

The first scientific research on toponyms was by a renowned scholar, historian and geographer vaxushti batonishvili, though accounts about them are saved in historical sources of V-XI and XII-XVIII centuries. The information about local toponyms is secured in "life of qartli" (qartlis cchovreba).

The research of toponyms turned out to be especially interesting in the novel "sorrow of humanity" by goderdzi chokheli. Here their total number exceeds thirty. Their analysis is possible by a few aspects: specifically, morphology, semantic-etymological and historical-dialectological.

We categorized them into groups based on their structure-production characteristics and obtained the results outlined below:

1. Toponyms are partially derived from root vowel-based common nouns in any inflection, through nominal inflection. They are either vowel-based or consonant-based:

*• **vowel-based:** Dikhcho, Daomatsho, Lida, Makarta, Khoza.*

*• **consonant-based:** gudamakhari Chokhi, Kitokhi, Atnokhi, Gamsi*

*2. Toponyms, that are formed by word-generating affixes. For geographical words in roman there are used modifiers, such as: **-ur, -ul, -ian, sa-e, sa-o.***

SA-E, SA-O confixes express purpose. They are used with the same intention for: Saqore, Sakorne, Salagho- these used to indicate places where mass groups of birds lived, such as hawks and ravens. Then again, salago, should be indicating a place that is related to delight.

-Ur - toponyms derived by origin of the name:

Cicqnauri, chobolauri. We come across geographical names, which, other than -ur modifier, attaches N. We see this essentially with nouns (last names) and highlights that it's plural.

*- **ian** - Toponyms that produce the adjective of property, which are assembled from names and surnames.*

3. Toponyms are derived through the process of word association: gudamayari, winamxari. In named composites, the components are either both nouns or a combination of an adjective and a noun.

4. Toponyms are expressed in the form of a limiter: swamp of straw, mountain of Nariani, mountain of Ozana, mountain of monks, mountain of Elia, mother of the place. There is a used Form of substantive determiners, which.....

A layer of geographical names is distinguished, that were formed during the archaic period, that's why it's impossible to distinguish some of their Etymology. To clarify the above we analyzed a few toponyms existing in the work of goderdzi chokheli: gudamakhari, daumacxo and boseli.

Examination of toponyms existing in goderdzi chokheli's novel granted us the opportunity to highlight the characteristics, that exhibit each of their disparities between morphology, dialectical or Etymological-historical.

Key words: Goderdzi Chokheli, toponyms, etymology, semantic, morphology.